საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 4/ს
09/01/2023

4-21-4-202301091745

მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე ცხვანდირზე შპს „მემული ჰესის“ 11.01 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მემული ჰესის) მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტისა და II დანართის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე ცხვანდირზე შპს „მემული ჰესის“ 11.01 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მემული ჰესის) მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N 70;
2. შპს „მემული ჰესი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N 70 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მემული ჰესს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მემული ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო